1. **სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის ინვოისის მონაცემები**

- ინვოისის გამოწერის თარიღი და ნომერი;
- გამყიდველის სახელი, გვარი/დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- გამყიდველის საბანკო რეკვიზიტები;
- პოტენციური ბენეფიციარის სახელი, გვარი/დასახელება და პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი (იმ შემთხვევაში, თუ ინვოისი გამოწერილი იქნება მინდობილ პირზე, მითითებული უნდა იყოს მინდობილი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ასევე ვისი მინდობილი პირია);
- მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდ(ებ)ი, რომელზეც უნდა განხორციელდეს სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობა;
- მიწის ნაკვეთის ფართობის ოდენობა, რა ნაწილზეც უნდა განხორციელდეს სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობა;
- სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მაკომპლექტებლ(ებ)ის და მოწყობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ღირებულება, ვალუტა;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურის დასახელება, რომლისთვისაც განკუთვნილია სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობა;
- მიწოდების ვადა;
- სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მწარმოებელი ქვეყანა;
- გადახდის პირობები (პროგრამით გათვალისწინებული თანამონაწილეობის შესაბამისად).

იმპორტირებული სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის ინვოისი უნდა იყოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

ინვოისი დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინვოისი შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ორიგინალი ან ასლი.